41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM

ძვირფასო ახალქალაქელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ახალქალაქის მერობის კანდიდატისა და ახალქალაქის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ახალქალაქის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ახალქალაქი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 8,2 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 16,9 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი სულ 5,6 მლნ ლარი იყო, 2021 წელს 9,4 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, **აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულია,** ჯამურად, 3 368 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 30 276 233 ლარი), რითაც 1 010-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, ხოლო ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 1 273 744 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 38 კოოპერატივი (448 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 862 260 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამის ფარგლებში, 2013-2021 წლებში, ჯამურად 25 876 191 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 3 211 836 ლარი), რითაც 780-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა** 2020 წლიდან ხორციელდება და ხელი შეეწყო 1 პროექტის განვითარებას (ინვესტიციამ 9 855 ლარი შეადგინა, თანადაფინანსება – 7 884 ლარი). **სოფლის განვითარების პროგრამით,** 2020 წლიდან 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 2 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 2 ხელშეკრულება (ინვესტიცია 152 115 ლარი, საგენტოს თანადაფინანსება 120 785 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 10 111 682 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 6 325 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;
- 2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 8 105 ჰექტრამდე ზრდა.

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 712 733 ლარის გრანტი გაიცა და განხორციელდა 898 886 ათასი ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 73 პროექტი, მათ შორის არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 39, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 34 პროექტი.

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, **აშენდა** 2 ჰიდროელექტროსადგური (ფარავანი ჰესი და დვირულა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 88,53 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება – 420 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა: მტკვარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 53 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 230 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 115 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 7,5 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 39,2 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 20 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი 2** (დადგმ. სიმძლავრე 1,6 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 9,8 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 5,5 მლნ აშშ დოლარი); **ტექ-**

ᲒᲖᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲓ

ნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა: ანდეზიტ ჰესი (დადგმ. სიმძლავრე 1,1 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 4,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 1,6 მლნ აშშ დოლარი); **ტაშისკარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 0,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 6,9 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 1,5 მლნ აშშ დოლარი); **პლატო ჰესი-ბორჯომჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 11,8 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 43,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 13,6 მლნ აშშ დოლარი); **არაკალი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 14,1 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 3,7 მლნ აშშ დოლარი);

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 2020-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 138 აბონენტი. 2013-2017 წლებში, 5 923 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი,** რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების ინვენტარიზაცია, ამჟამადაც მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი და ტურისტული ბილიკების დაგეგმვის სამუშაოები, მათ შორის, სოფლების კარწახისა და სულდას მიმართულებით. განხორციელდა სოფელ კუმურდოს მე-10 საუკუნის ეკლესიის, ახალქალაქის მე-10 საუკუნის ციხე-ტაძრის, ახალქალაქის წმინდა ჯვრის ეკლესიისა და სოფელ კარწახში მდებარე აშუღჯივანის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

2013-2014 წლებში აშენდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრი (587 664 ლარი). 2014 წელს განხორციელდა კოშკურის რეაბილიტაცია, რაზეც დაიხარჯა 43 385 ლარი. ამავე წელს ჯავახეთის ეროვნულ პარკში განხორციელდა მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები (196 851 ლარი). 2016 წელს აშენდა კოტეჯი (კარწახი), რაზეც 59 820,50 ლარი დაიხარჯა. 2018-2019 წლებში, მოეწყო 2 ეკოტურისტული ხის კოტეჯი (113 000 ლარი).

- „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2017 წელს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია** და მომზადდა ტყის მართვის 10 წლიანი გეგმა. 2012 წლიდან მიმდინარეობს ნაძვის ხმობის გამომწვევი მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენებითა და სანიტარული ჭრებით.

2014-2021 წლებში, ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტერიტორიაზე, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 11 421,3 კუბური მეტრი ხე-ტყე. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული ხე-ტყის დამზადების ღონისძიებები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ბაზარზე ხე-ტყის ხელმისაწვდომობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

2013-2020 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 139 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

- სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 2013-2020 წლებში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 31 მლნ ლარამდე დაიხარჯა. 10 ხიდს ჩაუტარდა აღდგენა-რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 2 ხიდის მშენებლობა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 253 ათასი ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, ახალქალაქის 39 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 6 245 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2021-2022 წლებისთვის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ალათუმანი-ბეჟანოს გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი) – 1 647 711 ლ;
- ახალქალაქი-კარწახი, (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზიდან ვაჩიანი-ოკამი-აზმანა-ქარცეფი-აფნია-გოგაშენის გზის მოასფალტება. კმ.9,3-დან სოფ. ქარცეფამდე (მისასვლელთან არსებული აღმართის ჩათვლით) – 1 272 000 ლ;
- სოფ. კარწახის წყლის სისტემის მოწყობა – 210 526 ლ;
- სოფ. სულდის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია/აღდგენა – 169 244 ლ;
- ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის გზიდან კარტიკამი-კულიკამი-ხულგუმოს გზის რეაბილიტაცია (კარტიკამი-კულიკამის გზა) – 939 421 ლ;
- ახალქალაქი-სოფ. დილისკა-სოფ. პტენა-სოფ. ჩუნჩხას გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია – 891 335 ლ;
- ქ. ახალქალაქში, აღმაშენებლის ჩიხის მიმდებარე გზის რეაბილიტაცია, ვაჩიანის გზატკეცილის №512 კორპუსისა და აღმაშენებლის ქ. №7 ეზოების მოასფალტება – 326,045 ლარი.

ᲛᲔᲚᲥᲝᲜ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ: „ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ“

ᲛᲔᲚᲥᲝᲜ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲩᲧᲐᲕᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲪ ᲐᲥᲕᲡ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲠᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲪ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘᲪ. ᲐᲛ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲘᲡ ᲣᲡᲐᲮᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲗ ᲬᲔᲡᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲗᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲡᲪᲔᲛᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ, ᲠᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ – ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲢᲝᲚᲔᲑᲘ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲬᲔᲠᲝᲓᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲪᲮᲐᲓᲝᲡᲝ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲙᲘ, ᲜᲓᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲐ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲔᲚᲥᲝᲜ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ, ᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ.

– ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ. ᲛᲐᲛᲐ ᲕᲐᲠᲣᲯᲐᲜ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲗ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲠᲐᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ. 1990-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲘᲒᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘᲐ – ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ, ᲛᲐᲡ ᲓᲐᲕᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲝᲓᲘ. ᲛᲐᲛᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ. ᲘᲒᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲐ; ᲣᲖᲝᲛᲝᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ, ᲰᲧᲐᲕᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ... ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ ᲩᲔᲛᲖᲔ. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲓᲔᲓᲐ – ᲔᲠᲐᲡᲢ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲙᲘ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ �გᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲚᲐᲦ �წᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲝ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲧᲕᲐᲠᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲨᲘᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲕᲠᲗᲣᲚᲕᲐᲠ. ᲡᲙᲝᲚᲐ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔ. 2004 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲩᲐᲕᲑᲐᲠᲔ. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝ�გᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲛᲘᲛᲔᲦᲝ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲨᲔᲛᲐᲠᲩᲘᲔᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲓᲔᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲔᲪᲜᲝ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲓᲐᲜ Ს�წᲐᲕᲚᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲒᲘᲣᲛᲠᲨᲘ, „ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡ“ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ �გᲐᲕᲐ�გᲠᲫᲔᲚᲔ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲜᲐᲓ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲘᲢᲔ. ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲕᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲐᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

– ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘᲗ?

– ᲓᲘᲐᲮ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ. ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲘᲩᲜᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ, ᲛᲔᲪ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲘᲛ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲕᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲬᲔᲕᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲫᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲮᲓᲘᲜᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲔᲖᲠᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲪᲕᲐ. 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ. 2014 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲕᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. 2014-2017 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲨᲔᲛᲐᲠᲩᲘᲔᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲓᲔᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲔᲪᲜᲝ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪ-

ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲨᲘ. ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ. 2004 ᲬᲔᲚᲡ, ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲓᲐᲜ – 2007 ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲒᲐᲜᲐ�გᲠᲫᲝ ᲒᲘᲣᲛᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ 2012 ᲬᲔᲚᲡ.

2013 Წ. ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲧᲝ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ. 2014 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. 2014-2017 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ 2017 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲗᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ, 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲮᲐᲚᲥᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ.

ᲰᲧᲐᲕᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲘᲩᲜᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ. ᲠᲝᲗᲝᲠᲘᲪ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ, ᲛᲔᲪ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲘᲛ ᲒᲣᲜ

ხოვრებო პირობები გამეუმჯობესებინა. დარწმუნებული ვარ, გუნდთან ერთად, მეტად შევძლებ ჩვენი რეგიონის განვითარებას. სოფლის მეურნეობა ახალქალაქის განვითარების უმთავრესი პერსპექტივაა. საჭიროა ახალი ტექნოლოგიებისა და პროგრამების განვითარება, რაც ჩვენთვის პრიორიტეტულ გამოწვევად არის მიჩნეული. ხელისუფლება მოქალაქეებს ამ მიმართულებით არაერთ სახელმწიფო პროგრამას სთავაზობს. სახელმწიფოს აქვს კარგი პროგრამები, მათ შორის სოფლის განვითარებისა და რეგიონული განვითარების პროგრამები, რომლებიც, უნდა აღვნიშნო, სწორედ ამ გამოწვევის საპასუხოდ შეიქმნა. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისთვის მხოლოდ ადამიანური რესურსი არ კმარა. აღნიშნული პროგრამების წყალობით მოსახლეობას ექმნება დამხმარე პირობები, მაგალითად შეუძლიათ შეიძინონ ტექნიკა მიწის დასამუშავებლად. შესაბამისი პროგრამებით ბევრი სარგებლობს, მაგრამ დაინტერესებული ვიქნები, რომ უფრო მეტ ადამიანს მივაწოდო მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია. საქართველოს მასშტაბით, ჩვენს რეგიონში დაუსაქმებლობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელია, ვინაიდან ჩვენი მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულად ითვლება, რაც ზოგადად უკავშირდება მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მეტი ხელშეწყობით, მოსახლეობა მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს და ცხოვრების დონე, ისევე, როგორც ადამიანების სოციალური დონე, თავისთავად ამაღლდება.

ახალქალაქის განვითარების კიდევ ერთი პერსპექტივა ტურიზმია. აქ თავმოყრილია უამრავი ისტორიული ძეგლი, რომელიც ჯერ არ არის გამოკვლეული და ძალიან საინტერესო ღირსშესანიშნაობად შეიძლება იქცეს ტურისტებისათვის.

რაც შეეხება გამოწვევებს, ახალქალაქის საკრებულოში მუშაობის დროს მათ კიდევ უფრო სიღრმისეულად გავეცანი – მოსაგვარებელია მიწების საკითხი. მართალია, ამ მიმართულებით, რეფორმის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ გამოწვევა მაინც რჩება. უნდა გაგრძელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები, წყალმომარაგების სისტემები უნდა მოწესრიგდეს, გაზიფიცირება უნდა დასრულდეს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს კიდევ უფრო მეტად უნდა დავეხმაროთ.

– ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება პანდემიის დროს არ შეფერხებულა?

– პანდემიამ ნამდვილად გაართულა ახალქალაქის რეალობა. მოსახლეობა, ისე, როგორც ხელისუფლება, ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა. ინფრასტრუქტურული პროექტები რეგულაციების დაცვით ხორციელდებოდა და არ შეჩერებულა, თუმცა მოგეხსენებათ, ჩვენს რეგიონში ძირითადად თვითდასაქმებული მოსახლეობაა. უამრავი მოქალაქე სამუშაოდ საზღვარგარეთ გადის, რაც პანდემიის პირობებში შეუძლებელი გახდა. ამ მიმართულებით სახელმწიფომ ბევრი სწორი ნაბიჯი გადადგა და მოქალაქეებს გამონაკლისის სახით მისცა შესაძლებლობა, გასულიყვნენ ლუკმა-პურის ფულის საშოვნელად. გარდა ამისა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ხელისუფლებამ გაუწია ფინანსური მხარდაჭერა 18 წლამდე ასაკის ბავშვებს და იმ მოქალაქეებს, ვინც კოვიდის პირობებში დაკარგა სამსახური. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ხელისუფლებამ პანდემია ნამდვილად ეფექტურად მართა.

– ერთ-ერთ გამოწვევად ისევ რჩება ენის ბარიერი და რა უნდა გაკეთდეს ამ საკითხის მოსაგვარებლად?

– სამწუხაროდ, ენის ბარიერი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ გამოწვევად დღემდე რჩება. ეს განპირობებულია ხანგრძლივი არასწორი პოლიტიკით, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში ტარდებოდა. გარდა ამისა, ჩვენი მუნიციპალიტეტი ძირითადად ეთნიკური სომხებითაა დასახლებული (დაახლოებით 95%) და მათ ქართულენოვან თანამოქალაქეებთან ხშირი კონტაქტი არ აქვთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენს რეგიონში ძალიან კარგად მუშაობს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც მსურველებს სახელმწიფო ენის შესწავლაში ეხმარება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უამრავი სტუდენტი სარგებლობს პროგრამით 4+1. მიმაჩნია, რომ ქართული სკოლების ფუნქციონირება იქნებოდა ამ ბარიერის დაძლევის შესაძლებლობა. მიხარია, რომ ახალგაზრდობა მაქსიმალურადაა ჩართული ქართული ენის შესწავლის პროცესში. გაიაზრეს, რომ მათი კარიერული წინსვლისათვის საჭიროა სახელმწიფო ენის შესწავლა.

– როგორ არჩევნებს ელით ახალქალაქში და ფიქრობთ, რომ მოსახლეობა მხარს დაგიჭერთ?

– ველი უთუოდ გამჭვირვალე და დემოკრატიულ არჩევნებს. მჯერა, თითოეული მოქალაქე გამოიჩენს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, იქნება პოლიტიკურად აქტიური და მაქსიმალურად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. დარწმუნებული ვარ, ახალქალაქის მოსახლეობა დამიჭერს მხარს და გამარჯვება ღირსეული იქნება. იმედი მაქვს და მჯერა, რომ ჩვენი ურთიერთობისა და ურთიერთდახმარების შედეგად, ერთად მივაღწევთ დიდ წარმატებებს, რაც მოგვცემს საშუალებას, გვქონდეს მეტად განვითარებული ქალაქი და სოფლები. ჩვენი მოქალაქეებისათვის ცხოვრება უფრო კომფორტული და საინტერესო უნდა გავხადოთ. ეს დაგვეხმარება, ვიზრუნოთ და შევუქმნათ ჩვენს თაობებს უკეთესი და ღირსეული მომავალი. ამ კუთხეში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები და ყველაზე ტკბილი მოგონებები სწორედ ამ ადგილთანაა დაკავშირებული. თითოეული კუთხე, თითოეული სოფელი მიყვარს, რადგან ყველგან მყავს ახლობელი და მეგობარი. ყოველთვის, როცა ვხედავდი გარკვეულ პრობლემებს, მქონდა სურვილი, რაღაც გამომესწორებინა ან შემეცვალა. ვფიქრობ, ახალქალაქის მერობა მომცემს შესაძლებლობას, დავეხმარო ჩემს თანამოქალაქეებს, გარკვეულწილად გავაუმჯობესო მათი ყოფა და შედარებით გავამარტივო საცხოვრებელი პირობები ჩვენს რეგიონში. დღეს ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთად, რადგან მხოლოდ ურთიერთგაგებითა და ურთიერთდახმარებითაა შესაძლებელი, მივაღწიოთ სასურველ შედეგს. მჯერა, რომ ერთად ჩვენ გავიმარჯვებთ!

მელქონ მაკარიანის მთავარი სიმდიდრე

მელქონ მაკარიანის მთავარი სიმდიდრე და დასაყრდენი ოჯახია. მომავალი მეუღლე უმაღლეს სასწავლებელში გაიცნო. ერთად სწავლობდნენ. შეყვარებულობის პერიოდი, დაახლოებით 1 წელს გაგრძელდა, შემდეგ კი დაოჯახება გადაწყვიტეს.

ოჯახის დიასახლისი პერჭანუშ ევაჯიანი კანდიდატის მშობლიურ სოფელ ბარალეთში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, აღმზრდელად მუშაობს. ამ საქმიანობას ქალბატონი პერჭანუში იდეალურად უთავსებს სამზარეულოში ფუსფუსს, ოჯახის მოვლასა და სამი შვილის აღზრდას.

სამივე შვილი ბარალეთის სკოლის მოსწავლეა. ქალიშვილი მანე მეათე, ვაჟები – ვარუჟანი და დავით მაკარიანები კი, მე-8 და მე-3 კლასში სწავლობენ. კარგი მოსწავლეები არიან. მანეს ძალიან უყვარს ცეკვა, ვარუჟანი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და მსოფლიო დონის ფეხბურთელების შესახებ ინფორმაციებს აგროვებს, ნაბოლარა დავითი კი ჯერ პატარაა და უმეტესად, სწავლითა და ეზოში თამაშითაა დაკავებული.

ბარალეთი ოჯახის ყველა წევრს ძალიან უყვარს. სხვაგან ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ. მშობლიური კუთხის სიყვარული და პატრიოტიზმი კი წინაპრებისგან მოსდგამთ.

მიუხედავად იმისა, რომ იციან, გამარჯვების შემთხვევაში, ახალქალაქის მერს ოჯახისთვის ნაკლები დრო დარჩება, ბატონი მელქონის გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებიათ. იციან, კანდიდატისთვის ეს მნიშვნელოვანია – რადგან მიეცა შანსი, ემსახუროს მშობლიურ ახალქალაქს და ახალქალაქელებისთვის ბევრი სიკეთე გააკეთოს, ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენოს; ამიტომ ოჯახის თავს მხარდაჭერა გამოუცხადეს. წინასაარჩევნო მარათონის დროს ამხნევებენ და გულშემატკივრობენ.

წლების წინ კრივი იზიდავდა. ზოგადად, სპორტის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, მაგრამ დღეს ვარჯიშისთვის ვეღარ იცლის. თავისუფალ დროს როგორც კი გამონახავს, გული ოჯახისკენ მიუწევს. აქ სიმშვიდე და სიყვარულია, რომელიც მას განსაკუთრებული ენერგიით ავსებს და აძლიერებს. მეუღლე და შვილები მისთვის სტიმულია – უნდა, ისე იცხოვროს, რომ ოჯახის წევრებმა მისით იამაყონ.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ახალქალაქის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 22 936 877 ლარი, დაფინანსდა 33 906 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 514 906,4 ლარი, 183 715 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (1 279 525 ლარი, 5512 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (14474618 ლარი, 9300 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 180 686 ლარი, 2762), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 944 735 ლარი, 3 719 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 108 198 ლარი, 2221 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომარეობით), პროგრამის ფარგლებში ახალქალაქში დაფინანსდა 258 ბენეფიციარი (დაიხარჯა 15 516 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით **დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.** 2020 წელს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 72.3% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ახალქალაქში,** სტაციონარული მკურნალობით 32-მა (103 938 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით 422-მა პაციენტმა (53 242 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისი მიიღო 6 419-მა ორსულმა (395 133 ლარი), მედიკამენტები – 2119-მა მოქალაქემ.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – **სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე.** საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ახალქალაქიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 60 პირი (10 972 ლარი).

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ახალქალაქის მუნიციპალიტეტს** 69 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიები აშენდა სოფლებში ზაკვი (83 800 ლარი), კარტიკამი (83 800 ლარი), ჩამდურა (78 976 ლარი), ღადოლარი (77 777 ლარი), სოფელ ალასტანის ამბულატორიის შენობის რეკონსტრუქცია (35 900 ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა კოთელიისა (2 322 ლარი) და ალათუმანის (16 000) ამბულატორიებს. დაგეგმილია **სამედიცინო პუნქტების რეაბილიტაცია** სოფლებში: კუმურდო (50 000 ლარი), დილისკა (50 000 ლარი), ბარალეთი (50 000 ლარი), არაგვა (50000 ლარი), ასევე დაგეგმილია **ამბულატორიების მშენებლობა** სოფლებში: აზავრეთი (90 000), მაჯადია (90 000 ლარი), ხანდო (90 000 ლარი), იხტილა (90 000 ლარი), ხავეთი (70 000 ლარი), კარწახი (90 000 ლარი), სულდა (90 000 ლარი), გოგაშენი (70 000 ლარი), ოკამი (90 000 ლარი), კოჩიო (90 000 ლარი), პატარა სამსარი (90 000 ლარი), ოლავერდი (90 000 ლარი), ჩუნჩხა (70 000 ლარი), ტურცხი (90 000 ლარი), აბული (90 000 ლარი), ბეჟანო (90 000 ლარი), დადეში (90 000 ლარი), გოკიო (90 000 ლარი), გომანი (90 000 ლარი), ქარცეპი (90 000 ლარი), კულიკამი (90 000 ლარი), მოდეგი (90 000 ლარი).

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მედიკამენტებისთვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა, ასევე ექსტრემალური შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი მოსახლეობას უტარდება სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევები(სოციალურად დაუცველ, შშმ ბავშვები),ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებს ამ დაავადებისთვის გათვალისწინებული გამოკვლევები, ფინანსდება სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა და სხვ.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, ჯანმრთლობის დაცვის სფეროს დაფინანსება 9-ჯერ გაიზარდა, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდამ 37,3 ათასიდან 334,7 ათას ლარს მიაღწია.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

სადეზინფექციო სამუშაოები ქალაქის პარკში

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ახალქალაქის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (1.04.2021 წ. მდგომარეობით) 7819 პირი. 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2.3-ჯერ – 9 285 118 ლარიდან 21 348 160 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 132 681 939 ლარი დაიხარჯა.

2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ახალქალაქში სახელმწიფო კომპენსაციის** მიმღები 56 პირია (1.04.2021 წ. მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,6-ჯერ – 96 689-დან 249 568 ლარამდე გაიზარდა. სულ, 2013-2020 წლებში, სახელმწიფო კომპენსაციებზე ცემულია 1 821 691 ლარი.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ახალქალაქის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 661 ოჯახია (01.04. 2021 წ. მდგომარეობით). 2012 წლიდან 2021 წლამდე საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 3,3-ჯერ – 344 ათასიდან 1 126 ათას ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე გაცემულია 7 061 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 2393 ათასი, შშმ პირებზე – 793 ათასი, ბავშვებზე – 2 610 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით. 2021 წლის აპრილის მდგომარეობით, **ახალქალაქში,** სოციალური პაკეტით მოსარგებლეა 1249 მიზნობრივი ჯგუფი. 2012 წლის შემდეგ გაწეული ხარჯი 5,6-ჯერ – 395 251 ლარიდან 2 230 613 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, დაიხარჯა სულ 14 922 068 ლარი. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) მუნიციპალიტეტში დაფინანსებულია 650 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომარეობით), 2016-2021 წლებში სულ დაიხარჯა 5 048 300 ლარი, მათ შორის 2020 წელს – 1 104 300 ლარი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 34 **დევნილია**. 2012 წლის შემდეგ 11 732 ლარიდან 17010 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 125 235 ლარი დაიხარჯა. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, **„სოფლად სახლის“** პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ სახლი 1 დევნილ ოჯახს შეუსყიდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ახალქალაქის მუნიციპალიტეტზე – 1 093 972 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). ახალქალაქში, 2020 წელს, პროგრამაში ჩართული იყო 399 ოჯახი, 2021 წელს – 523. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. ახალქალაქში, 2020 წელს ისარგებლა 103-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 154-მა. მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის, სოციალური პაკეტით განსაზღვრულ დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოყოფილ იქნა 100 ლარი, 6 თვის განმავლობაში, რითაც ახალქალაქში 2020 წ. 348-მა პირმა, 2021 წ. – 353-მა პირმა ისარგებლა.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით, 2,8-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება და 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 283,7 ათასიდან 782,6 ათას ლარამდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველი პირებისთვის, ახალშობილთა დახმარება, ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, მრავალშვილიანი ოჯახებიდან, ინვალიდ, ობოლ და სოციალურად დაუცველ ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ახალქალაქში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღების გაერთიანება (16 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 3 – ქ. ახალქალაქში, ხოლო 13– სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალქალაქში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 4 518,8 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისმა დაფინანსებამ 321 ათასი ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში, **ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში,** სამშენებლო-**სარეაბილიტაციო სამუშაოები** ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს, მათ შორის: **გარემონტდა** ქ. ახალქალაქის №1, №2, №3, სოფ. დოლისკას, კარტიკამისა და ბარალეთის საბავშვო ბაღები; **რეაბილიტაცია** ჩაუტარდა სოფ. აზავრეთის, ბარალეთის, კოთელიის, დოლისკას №4 და ხულგუმოს საბავშვო ბაღებს. **საბავშვო ბაღები აშენდა** სოფლებში კოთელია, კარწახი, სულდა, ჩუნჩხა, კულიკამი; **მიმდინარეობს** გოგაშენის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 665-დან 1150 აღსაზრდელამდე გაიზარდა, **კვების თანხა** – თითოეულ აღსაზრდელზე **1,9-დან** თვეში **334 ლარამდე**. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. საბავშვო ბაღებს **13 მედდა და 1 ფსიქოლოგი, 86 აღმზრდელი** ემსახურება. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია მუნიციპალიტეტის **14 საბავშვო ბაღის** სასკოლო მზაობის 17 ჯგუფში, სადაც **490** ბავშვია ჩართული. გაიხსნა სპეცპედაგოგების ახალი შტატები; ბილინგვური სწავლების გადამზადება, ონლაინ ტრენინგების საშუალებით, პედაგოგების ნაწილმა გაიარა.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 65 საჯარო სკოლა, აქედან ქალაქში – 5, ხოლო სოფლად – 60. სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა არის – 7036, ხოლო მასწავლებლების – 1296. დასაქმებულია 10 სპეციალური დანიშნულების მასწავლებელი. არაქართულენოვან სკოლებში, ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, დასაქმებულია 177 კონსულტანტ-მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2020 წლის მაისის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 19 სსსმ მოსწავლე. 8 საჯარო სკოლას ემსახურება 19 მანდატური.

ახალქალაქში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა არაერთი პროგრამა, მათ შორის: „საჯარო სკოლის **ტრანსპორტით უზრუნველყოფის“** პროგრამით 18 საჯარო სკოლის (24 მიმართ.) 257 მოსწავლე სარგებლობს; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 4 საჯარო სკოლაში. 2017-2019 წლებში, 79 770 სახელმძღვანელო და რვეული უსასყიდლოდ დარიგდა; პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა 1 948 პირველკლასელს, ასევე წახალისების მიზნით – 182 დამრიგებელსა და 22 წარჩინებულ მოსწავლეს.

ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის 48 საჯარო სკოლა; **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მიზნით,** კომპიუტერები გადაეცა 5 საჯაროს სკოლას (40 კომპიუტერი). შესაბამისი **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა** 5 საჯარო სკოლა; **„სახელმწიფო ენის პროგრამით“** ფარგლებში 2017-2019 წლებში 2 377-მა ბენეფიციარმა წარმატებით დაასრულა კურსი და აიღო შესაბამისი სერტიფიკატი;

2013-2021 წელს, **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის** განვითარების პროგრამით, სულ განხორციელდა საჯარო სკოლების **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** 54 პროექტი. **სრული რეაბილიტაცია** ჩაუტარდა 2 საჯარო სკოლას. აშნდა სოფელ პტენის, ბუღაშენის, აფნიისა და ბარალეთის №2 საჯარო სკოლები;

2017 წელს, MCC-ამერიკული პროექტით განხორციელდა 2 სკოლის სრული და 8 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (523 ათასი ლ), 2018 წელს დასრულდა აფნიის მცირეკონტინგენტიანი სკოლის მშენებლობა (443, 6 ათასი ლ); **ცენტრალური გათბობის სისტემა** მოეწყო 27 სკოლაში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 48 **ადაპტირებული სკოლა;** ოპერირებისა და **მოვლა-პატრონობის პროგრამა** ხორციელდება 2 სკოლაში.

2020 წელს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოეწყო სველი წერტილები და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა კარწახის, აბულის, კოჩიოს, ბურნაშეთის, გოკიოს, ღადოლარის, ხანდოს, გოგაშენის, ხავეთის, გომანის, არაგვის, მურჯახეთის, პატარა სამსარის, დიდი სამსარის, ბუზავეთის, დილისკას, სულდის, დადეშის, ზაკის, ხორენიის, კოთელიის, მარტუნის, კორხის, ქარცეპის საჯარო სკოლებში (ჯამურად **2 მლნ ლარი). მუნიციპალური განვითარების ფონდი:** დასრულდა ჩუნჩხის სკოლის მშენებლობა (1 883 752 ლ), **მიმდინარეობს** საჯარო სკოლების რეაბილიტაცია სოფლებში: დილისკას №1 საჯარო სკოლა (2 200 578.34 ლ) და აზავრეთის საჯარო სკოლა (1 868 690.89 ლ); ქ. ახალქალაქის ი.ჭავჭავაძის სახელობის №3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2 804 574.41 ლარი).

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ახალქალაქში ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 1 საჯარო ავტორიზებული დაწესებულება – სსიპ **სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განყოფილება.**

ახალქალაქის სასწავლო კორპუსში გაიზარდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების რაოდენობა. 2021 წლის მიღების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიღებას აცხადებს 9 პროფესიულ პროგრამაზე: ბუღალტრული აღრიცხვა, საბაჟო საქმე, კომპიუტერული ქსელები და სისტემები (მოდულური და მოდულური ინტეგრირებული მიდგომით), ელექტროობა (მოდულური და მოდულური ინტეგრირებული მიდგომით), მებოსტნე, სატყეო საქმე (მოდულუური და მოდულური ინტეგრირებული მიდგომით).

აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული პროგრამები განკუთვნილია საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირებისათვის და მათი დასრულების შემდეგ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს 2016 წლიდან, შესაძლებლობა აქვთ, **სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე** ჩააბარონ პროფესიული ტესტირება და **სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩარიცხვის შემდეგ, პროფესიის დაუფლებამდე ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს.

2017-2019 წლებში არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **სულ ჩაირიცხა 139 პირი.**

2020 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **ჩაირიცხა 10 სტუდენტი;**

სკოლის მოსწავლეებში **პროფესიული უნარების განვითარების** მიზნით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბაზაზე განხორციელდა 7 პროექტი.

2021 წელს, **ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, დასრულდა** სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ახალქალაქის სასწავლო კორპუსის **სრული სარეაბილიტაციო** სამუშაოები, რომელშიც განთავსებულია უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განყოფილება ახალქალაქში.

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ერთი პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი ახორციელებს.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური პროგრამით, 2013-2016 წ.წ. დაფინანსება მოიპოვეს ახალქალაქის სტუდენტებმა (ყოველ წელს 10-მა სტუდენტმა), 2018 წლიდან, სოციალური პროგრამის დაფინანსება მოიცავს მთლიანად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლის კურსდამთავრებულთა დაფინანსებას, შესაბამისად, 2018-2019 ს/წელს სამცხე ჯავახეთის რეგიონიდან დაფინანსდა 79 სტუდენტი; 2019-2020 ს/წელს – 79, 2020-2021 ს/წელს – 79 სტუდენტი.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის ახალი საბავშვო ბაღები აშენდება სოფლებში: ალასტანი, ხულგუმი, კოჩიო, კუმურდო, კორხი, იხტილი, 2021 წლისთვის, სოფელ გოგაშენში, მთის ფონდის პროგრამით, გათვალისწინებულია 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილია მუნიციპალიტეტის 8 სოფელში (ჯამურად 1,6 მლნ ლარი). საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ახალქალაქში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას, ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად,
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. 2021 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით განხორციელდება: ღადოლარის საჯარო სკოლაში კარ-ფანჯრის რეაბილიტაცია (36 758 ლ); ჩუნჩხის სკოლაში – წყალმომარაგებისთვის ავზის მოწყობა (24 765 ლ). დაგეგმილია სოფ. აგანის საჯარო სკოლაში სველი წერტილის მოწყობა (50 ათასი ლ), მერენიის სკოლაში წყალსადენის გაყვანა (7 ათასი ლ), 21 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (2 მლნ ლარი);
- პროექტირება-მოვლა-პატრონობის პროგრამა განხორციელდება სოფ. კარტიკამისა და ქ. ახალქალაქის №4 სკოლებში;
- 2020-2024 წლებში დასრულდება სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ახალქალაქის სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია; გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება დაფინანსების ახალი მოდელი და განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანება (18 ბიბლიოთეკა), ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება, სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა.

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა კულტურის სფეროს **დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით, კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 426,3 ათასი ლარით, **2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი 657,3 ათასი ლარი შეადგინა.** სოციალურად დაუცველთათვის **სახელოვნებო სკოლებში სწავლება არის უფასო.**

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ტარდებოდა ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ეწყობოდა გამოფენები, იმართებოდა ფესტივალები, ტარდებოდა ღვაწლმოსილი პიროვნებებისადმი მიძღვნილი და სხვა კულტურული ღონისძიებები. ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო აქცია „ღამე მუზეუმში“.

ახალქალაქის საკლუბო გაერთიანების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ჯავახკი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“, სიმღერის გუნდი აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალიტეტისა და რეგიონის კულტურულ ღონისძიებებში. აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან ახალქალაქის საკლუბო გაერთიანებასთან არსებული სომხური თეატრი, თოჯინების თეატრი, საბავშვო თეატრი. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მომავლის სახლსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ კულტურის სახლებში მუდმივად იმართება ინტელექტუალური, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები და ფესტივალები.

კარწახში იმართება ტრადიციული მასობრივი დღესასწაული „ჯივანობა“, რომლის მიზანია კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება-გაღრმავება, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარება, ტურისტების მოზიდვა ეკონომიკის განვითარება (2017-2019 წლებში, გამოიყო 19 ათასი ლარი);

2014-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების **მშენებლობა-რეაბილიტაციის** პროექტები, **მათ შორის:** დასრულდა ბურნაშეთისა და ალასტანის სოფლის კლუბების რემონტი, სოფელ ღადოლარის სოფლის კლუბის ნაწილობრივი მშენებლობა, სოფელ ბეჟანოს კულტურის სახლის შიდასამუშაოები, სოფელ მოდეგამის ახალგაზრდობის სახლის მშენებლობა (დასრულება), სოფელ ბურნაშეთის სოფლის კლუბის რემონტი, ქ. ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და სამხატვრო სკოლის რეაბილიტაცია (ჯამურად 311,6 ათასი ლარი).

2018 წელს განხორციელდა ჯავახეთის კათოლიკური ძეგლების ინვენტარიზაცია (2 ათასი ლ); დაიდგა 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალური ძეგლი (50 000 ლ); ჯავახეთის კათოლიკური ძეგლების ინვენტარიზაცია (2 000 ლ);

2019 წელს ჩატარდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის აბულის, შაორის და ავრანლოს მეგალიტური კომპლექსების ტოპოარქეოლოგიური კვლევა.

2020 წელს – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია (25 000 ლ); გარემონტდა ბარალეთის

კლუბის ორი ოთახი (27 641 ლ); ახალქალაქის კულტურის სახლში მოეწყო გათბობის სისტემა.

გრძელდება კუმურდოს ეკლესიის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები (500 000 ლარი).

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით მუნიციპალიტეტში განხორციელდა: ჩრდილების სახელმწიფო თეატრის გასტროლი ახალქალაქში; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია; ტრენინგები მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლებისთვის; ჯავახეთის სომხური ძეგლების ინვენტარიზაცია; „ცოცხალი წიგნები“ – საქართველოს სხვადასხვა სოფლისა და ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე მწერლებისა და ხელოვანების მობილური ჯგუფების შესვლა.

2016-2021 წლებში, სამინისტროს ხელშეწყობით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ხორციელდება პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის მიზანია – საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები/აქტივობები.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ახალქალაქში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“ (9,825 ლარი), „გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“ (19 750 ლარი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სპორტკომპლექსი, სასპორტო სკოლა, დახურული საცურაო აუზი და ჭადრაკის სკოლა. 2013-2018 წლებში სპორტკომპლექსში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 160-დან 198-მდე, სასპორტო სკოლაში – 300-დან 400-მდე, საჭადრაკო სკოლაში კი 35-დან 70 მოსწავლემდე.

2013 წელთან შედარებით, 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს ხარჯები 328,3 ათასიდან 722,9 ათასი ლარამდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, ჭიდაობა, კარატე და კრივი. აღსანიშნავია სპორტული შედეგებიც: ევროპის პირველობა კრივში – მეორე ადგილი, საქართველოს პირველობა კრივში – 3 პირველი ადგილი; ირანში, სპორტული თამაშები – მე-3 ადგილი; ქ. ბორჯომში „ბორჯომობის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – პირველი, მეორე და მესამე ადგილები; ირანში, „სხვა სომხური“ სპორტული თამაშები – 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: ახალქალაქსა და სოფელ ორჯაში მოეწყო საბავშვო და მინი სპორტული მოედნები (227,9 ათასი ლარი). სოფელ დილისკას სპორტულ დარბაზში გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის მონტაჟი (10,3 ათასი ლარი); სოფ. დილისკას სპორტულ დარბაზში ბუნებრივი აირის გაყვანა (1,8 ათასი ლარი); **განხორციელდა ქ. ახალქალაქში** ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია (74,0 ათასი ლარი); სპორტული მოედნის მშენებლობა (45,3 ათასი ლარი), საცურაო აუზის შენობის რემონტი (54,8 ათასი ლარი), მინისტადიონების რეაბილიტაცია (22,1 ათასი ლარი) და თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოდნისა და სანიტარული კვანძის მოწყობა (122,6 ათასი ლარი); მინისტადიონები მოეწყო სოფლებში: მიასნიკიანი (5, 3 ათასი ლარი) და ვაჩიანი (15 ათასი ლარი), სპორტული მოედანი – სოფელ გოგაშენში (500 ათასი ლარი), სპორტდარბაზი – სოფელ ხულგუმში (17 ათასი ლარი), ხოლო მინი ფეხბურთის მოედანი სოფელ კარტიკამში (30 ათასი ლარი). სოფელ ბოზალში მიმდინარეობს მინისტადიონის მშენებლობა (10 ათასი ლარი).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მიმართულებით სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა – რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან; „„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდა 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადენელ ახალგაზრდებს შორის სწრაფი ბეჭდვისა და ლოგიკური აზროვნების კონკურსი, რომელიც ბოლნისში, მარნეულსა და ახალქალაქში ჩატარდა, შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა.

2017-2021 წლებში, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის:

სხვადასხვა სპორტული, სასკოლო და ახალგაზრდული ღონისძიება, გარემოებებიდან გამომდინარე (მათ შორის, სასკოლო ოლიმპიადა – 38,5 ათასი ლარი);

მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია (190 ათასი ლარი);

ეწყობა საზაფხულო, საბავშვო ბანაკი ახალაგაზრდებისთვის, რომლის მიზანია დასასვენებელ-შემეცნებითი საზაფხულო პროგრამის შეთავაზება, შემეცნებითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარება, აგრესიის პრევენცია (123 თასი ლარი);

ახალქალაქში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მომავლის სახლისა და სპორტული სკოლის შენობას (15 458 ლარი).

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ახალქალაქის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია;

- განხორციელდება კუმურდოს ეკლესიის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები (500 ათასი ლარი, 2018-2021 წ.).
- დაგეგმილია 2008 წელს აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალის მოწყობა – 20 ათასი ლარი;
- სოფელ ბარალეთის კლუბის რეაბილიტაცია – 50 ათასი ლარი;
- სოფელ ღადოლარის სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია – 55 ათასი ლარი;
- სოფელ კარწახის კლუბის რეაბილიტაცია – 10 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: ქ. ახალქალაქში მოეწყობა სპორტული მოედანი (160,7 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფ. კუმურდოს სპორტულ დარბაზს (35,3 ათასი ლარი); ქ. ახალქალაქში (ცენტრალური სკვერის ტერიტორიაზე) მოეწყობა საბავშვო მოედანი (73,4 ათასი ლარი); ქ. ახალქალაქის №3 საბავშვო ბაღის ეზოში აშენდება მინი სტადიონი (60,4 ათასი ლარი);

ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ

- სოფელ მერენიის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 8 ათასი ლარი;
- ახალქალაქის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია – 306,2 ათასი ლარი;
- სოფელ ბუზავეთში მინისტადიონის მოწყობა – 15 ათასი ლარი
- ქ. ახალქალაქში არსებული მინისტადიონების რეაბილიტაცია – 100 ათასი ლარი;
- სოფელ ვაჩიანში მინისტადიონის კეთილმოწყობა – 5 ათასი ლარი;
- სოფელ პატარა სამსარში ფრენბურთის მოედნის მოწყობა – 20 ათასი ლარი;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ მურჯახეთში მოეწყობა მინი სტადიონი – 15 ათასი ლარი;
- სოფელ კულიკამში მოეწყობა მინი სტადიონი – 10 ათასი ლარი;
- ახალქალაქის ცენტრალურ პარკში დამონტაჟდება გარესავარჯიშო მოწყობილობები – 15 ათასი ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2017-2020 წლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულების (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

ᲪᲮ. 1 ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ 2017-2020 ᲬᲬ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	0	0	0	1
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	1
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	2	0	1	0
მათ შორის, გახსნილი	2	0	1	0
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	1	1
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	1	1	1	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
სულ	3	1	3	2
მათ შორის გახსნილი	2	0	1	1

ᲪᲮ.2 ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	80	82	78	72
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	1	0	0	0
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	2
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ., კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 9 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 4, ანუ 44%, რაც გახსნის საშუალო მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 3 შემთხვევას არ აღემატება, ხოლო მათი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის **უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.**

ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2016-2019 წ.წ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

სტატისტიკა მოწმობს, რომ საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020 წ.წ.) მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, დასტაბილურდა, მნიშვნელოვნად აღარ იზრდება და 70-80-ის ფარგლებში მერყეობს. პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები იშვიათია, ერთადერთი შემთხვევა აღიცხულია 2017 წელს, რის შემდეგეც პრობაციონერთა შორის რეციდივის შემთხვევა რეგისტრირებული არ არის, რაც მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტში მშვიდი კრიმინოგენური მდგომარეობაა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პანდემიისა, 2020 წელს ორმა პრობაციონერმა მონაწილეობა მიიღო სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში.

სამომავლოდ პრობაციის სააგენტო გეგმავს პრობაციონერებისთვის სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების გაფართოებასა (პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებით) და ეფექტიან განხორციელებას; აგრეთვე განზრახულია მსჯავრდებულთა აქტიური ხელშეწყობა მათი ადგილზე, მუნიციპალიტეტში დასასაქმებლად.

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ

2018 წლის ოქტომბრიდან ახალქალაქში შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას უკვე 450-მდე სახის მომსახურებას უწევს.

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები, როგორებიცაა მაგ. დაბადებისა და პირადობის მოწმობა, პასპორტი თუ ქორწინების მოწმობა, ამონაწერი საჯარო თუ სამეწარმეო რეესტრიდან; სწრაფად და მოხერხებულად, ზედმეტი ბიურიკრატიული ბარიერების გარეშე, დაარეგისტრიროს უძრავ ნივთზე საკუთრება, განახორციელოს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ახალქალაქის იუსტიციის სახლი სამომავლოდაც განაგრძობს მაღალი ხარისხით მომსახურეობას და იზრუნებს, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს მოქალაქეებისათვის შეთავაზებული სერვისები, ხოლო მათ მისაღებად, მოსახერხებელი და კომფორტული გარემო შეიქმნას.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურებათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის აქცენტი გაკეთდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე.

საზოგადოებრივი ცენტრი, იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. ლიბერთი ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიული სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; იმავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე „საზოგადოებრივი ცენტრი“ წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

2016 წლის ნოემბრიდან ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში: ბარალეთსა და კუმურდოში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრები.

სამომავლოდ საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალის მომზადება ეტაპობრივად მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს, რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისებრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობასა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისთვის.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

განსაკუთრებული გრძნობაა, როდესაც აცნობიერებ, რომ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა გაქვს, იმ ქალაქსა და სოფლებს, იმ ხალხს ემსახურო, რომელსაც მთელი შენი ცხოვრება უკავშირდება. ბევრჯერ მიფიქრია, როგორ შეიძლება გადავუხადო ამაგი ხალხს, მხარეს, რომელმაც ცხოვრება, კარგისა და ცუდის გარჩევა მასწავლა. სწორედ ეს განცდა იყო მთავარი მოტივაცია, როდესაც 2014 წელს ახალქალაქის საკრებულოში დავიწყე საქმიანობა და ასეა ახლაც, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ ამ ულამაზესი მხარის მერობის კანდიდატად დამასახელა.

განვლილი წლების განმავლობაში საკუთარი თვალით ვხედავდი იმ უდიდეს პროგრესს, რომელსაც ჩვენმა მუნიციპალიტეტმა მიაღწია. ბევრი პროექტის განხორციელებაში უშუალოდ ვიყავი ჩართული, რითაც უდიდესი გამოცდილება მივიღე და ზუსტად გავაცნობიერე, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს დაწყებული საქმე.

კარგად ვიცი, რომ პროგრესის კვალდაკვალ, ჩვენს წინაშე კვლავ არაერთი გამოწვევაა. მიუხედავად ამისა, გვაქვს ზუსტი ხედვა, როგორ დავძლიოთ ისინი. ჩვენს მუნიციპალიტეტს პროფესიონალიზმი, გამოცდილება და ენერგიული, საქმეზე ორიენტირებული ადამიანები სჭირდება. შესაბამისად, მერწმუნეთ, ჩვენს გუნდს დღეს ალტერნატივა არ აქვს!

თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს! მჯერა, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ და თქვენი უშუალო, აქტიური ჩართულობით სისრულეში მოვიყვანთ იმ გეგმებს, რომლებიც ახალქალაქის მუნიციპალიტეტს მეტ განვითარებას, აქ მაცხოვრებელ ხალხს კი მეტ კეთილდღეობას მოუტანს.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.